ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1-1725

"___" 1 აგვისტო 2017წ.

„ქ. თბილისში, ისნის რაიონში, 300 არაგველის II გასასვლელი №23-ის მიმდებარედ/იალბუზის ქუჩა №17-ის მიმდებარედ/300 არაგველის ქუჩა №22-ის მიმდებარედ/300 არაგველის ქუჩა №2/3/300 არაგველის ქუჩა, №31/300 არაგველის ქუჩა №22/იალბუზის ქუჩის ასახვევთან არსებული ფერდობი (ნაკვეთი 138/074)/ იალბუზის ქუჩის ასახვევთან არსებული ფერდობი/300 არაგველის ქუჩა №22-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდები: №№ 01.17.01.138.116, 01.17.01.138.014, 01.17.01.138.115, 01.17.01.138.115, 01.17.01.138.117) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 1 მაისის №1-1000 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 6 ივლისის №27 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქ. თბილისში, ისნის რაიონში, 300 არაგველის II გასასვლელი №23-ის მიმდებარედ/იალბუზის ქუჩა №17-ის მიმდებარედ/300 არაგველის ქუჩა №22-ის მიმდებარედ/300 არაგველის ქუჩა №2/3/300 არაგველის ქუჩა, №31/300 არაგველის ქუჩა №22/იალბუზის ქუჩის ასახვევთან არსებული ფერდობი (ნაკვეთი 138/074)/ იალბუზის ქუჩის ასახვევთან არსებული ფერდობი/300 არაგველის ქუჩა №22-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდები: №№ 01.17.01.138.116, 01.17.01.138.014, 01.17.01.138.115, 01.17.01.138.115, 01.17.01.138.117), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 1 მაისის №1-1000 ბრძანებაში და ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისში, ისნის რაიონში, 300 არაგველის II გასასვლელი №23-ის მიმდებარედ/იალბუზის ქუჩა №17-ის მიმდებარედ/300 არაგველის ქუჩა №22-ის

მიმდებარედ/300 არაგველის ქუჩა №2/3/300 არაგველის ქუჩა, №31/300 არაგველის ქუჩა №22/იალბუზის ქუჩის ასახვევთან არსებული ფერდობი (ნაკვეთი 138/074)/ იალბუზის ქუჩის ასახვევთან არსებული ფერდობი/300 არაგველის ქუჩა №22-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.138.126), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ";

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „ქ. თბილისში, ისნის რაიონში, 300 არაგველის II გასასვლელი №23-ის მიმდებარედ/იალბუზის ქუჩა №17-ის მიმდებარედ/300 არაგველის ქუჩა №22-ის მიმდებარედ/300 არაგველის ქუჩა №2/3/300 არაგველის ქუჩა, №31/300 არაგველის ქუჩა №22/იალბუზის ქუჩის ასახვევთან არსებული ფერდობი (ნაკვეთი 138/074)/ იალბუზის ქუჩის ასახვევთან არსებული ფერდობი/300 არაგველის ქუჩა №22-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.138.126), სასტუმროს განსათავსებლად, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=5,5.".

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია